



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



განკარგულება:პ/6100226

თარიღი:27/11/2020

განკარგულება N56

27 ნოემბერი 2020 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 108-ე მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1618 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობა (ს/კ. 26.26.40.089) გადაეცეს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში სახელმწიფოს, შემდგომში სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

მუხლი 2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე